საიდ. №74572/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №142-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „მერკ შარპ & დომე კორპ” (Merck Sharp & Dohme Corp.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №142-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 აგვისტოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1009/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „PNEUMOVAX” (საიდ. №74572/03) დარეგისტრირება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფილტვის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრეპარატები“.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 აგვისტოს №1009/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „PNEUMOVAX" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „GRUNENTHAL GmbH" სახელზე მე-5 კლასის საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა "Pneumax" (რეგ. N692928, რეგ. თარ. 1998-04-07). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქონლის ჩამონათვლის კლასი, რომლის მიმართაც არის რეგისტრირებული დაპირისპირებული ნიშანი მოიცავს წარმოდგენილი ნიშნის საქონლის ჩამონათვალს: „ადამიანებისათვის განკუთვნილი ვაქცინის პრეპარატები". აგრეთვე, ორივე ნიშნის საწყისი ხუთი და ბოლო ორი ასო არის იდენტური, შუაში არსებული ორი ასო "OV" ვერ ანიჭებს მათ განმასხვავებელუნარიანობას. დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ ასევე, აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „მერკ შარპ & დომე კორპ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, – „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი, მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი –

იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. საერთო შთაბეჭდილებით დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ, იმით, რომ განცხადებული სიმბოლო „PNEUMOVAX “ (პნეუმოვაქსი) შედგება 9 ასოსგან და ოთხი მარცვლისაგან „პნე–უმო–ვაქ–სი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „Pneumax“ (პნეუმაქსი) კი სამმარცვლიანია „პნე–უმაქ–სი“. მართალია, ორივე სიმბოლოში არის ასოთა მსგავსი წყობა, მაგრამ განცხადებულ სიმბოლოს შუაში ასოები „OV“ (ოვ) ანიჭებს მას, როგორც მხედველობით ასევე, ჟღერადობით განსხვავებას დაპირისპირებული ნიშნისგან. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული ნიშნები თანაარსებობენ ბევრ ქვეყანაში. აპელანტის მითითებით, განმცხადებელი მზადაა განცხადებული მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი შეზღუდოს და დატოვოს შემდეგი სახით: „ფილტვის დაავადების სააწინააღმდეგო ვაქცინაციის პრეპარატები“. აპელანტის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება ფარმაცევტულ პროდუქციას, რომლის შეძენისას მომხმარებელი ეყრდნობა ექიმის დანიშნულებას. მით უფრო, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი განკუთვნილი იქნება კონკრეტული მედიკამენტისთვის, რომელიც არ წარმოადგენს ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტს და მხოლოდ ექიმის დანიშნულების საფუძველზე გაიცემა რეცეპტით, რაც გამორიცხავს მომხმარებლის მხრიდან აღრევის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით, აპელანტი აღნიშნავს, რომ საქართველოს წამლების სააგენტოს რეესტრში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, აპელანტის სახელზე რეგისტრირებულია ამავე სახელწოდების პრეპარატი „პნეუმოვაქსი 23“, რომელიც მიეკუთვნება II ჯგუფის პრეპარატებს და გაიცემა რეცეპტით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 აგვისტოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ N1009/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „PNEUMOVAX” (საიდ.

N74572/03) დარეგისტრირება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფილტვის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრეპარატები“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „PNEUMOVAX” (საიდ. №74572/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “Pneumax” (IR №692928) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად. ორივე ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია ლათინური ასოებით და შედგება ერთი სიტყვისაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანის სტანდარტული შრიფტით, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი ლათინური სტანდარტული ასომთავრული ასოებით, მაგრამ ყოველივე ეს ვერ სძენს სასაქონლო ნიშნებს განსხვავებას. იდენტურია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი ელემენტები „PNEU”- „PNEU”, ასევე, იდენტურია ნიშნების ბოლო ნაწილი „AX”- „AX”. ნიშნებს შორის განსხვავებულია მხოლოდ შუა ნაწილები „MOV”- „M”, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ნიშნები მიჩნეულ იქნეს ვიზუალურად განსხვავებულ ნიშნებად.

მსგავსია განცხადებული და დაპირისპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჟღერადობა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ

გამოითქმის როგორც “პნეუმოვაქს”, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც “პნეუმაქს”.

მსგავსია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის, ფარმაცევტული და ვეტერინარული ნაწარმის მიმართ, ისევე როგორც განცხადებული, ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, კერძოდ, ადამიანებისთვის განკუთვნილი ვაქცინის პრეპარატებზე. აპელანტი თანახმაა შეზღუდოს საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად – “ფილტვის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრეპარატები”, თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ შეცვლის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვლის მსგავსებას, რადგან ფარმაცევტული ნაწარმი მთლიანად მოიცავს ფილტვის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრეპარატებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მე-5 კლასის საქონლის ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში, ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „PNEUMOVAX” (საიდ. №74572/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „მერკ შარპ & დომე კორპ” (Merck Sharp & Dohme Corp.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 აგვისტოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1009/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ქ. კილაძე

წევრები: ს. დუმბაძე

ს. ებრალიძე